

საინფორმაციო კვარტალური ბიულეტენის "ზიანის შემცირება" მესამე გამოცემა ზიანის შემცირების საქართველოს ქსელმა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ზიანის შემცირება - რეპრესიული თუ მტკიცებულებებზე დამყარებული ჩარევა: თემის გაძლიერების, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირებული პოლიტიკის ხელშეწყობა საქართველოში“ (EIDHR/2011/267-527) ფარგლებში მოამზადა.

რედაქტორისგან

ბიულეტენის ამ ნომერში გთავაზობთ მნიშვნელოვან სიახლეებს, ზიანის შემცირების პრინციპებს, ინფორმაციას ზედოზირებაზე, პრაქტიკულ რჩევებს C ჰეპატიტის შესახებ, პირად ისტორიას და ნარკოტიკუალის აღწერას რეგიონების მიხედვით.

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელმა დონორთა მხარდაჭერით 28 ივლისს C ჰეპატიტის საერთაშორისო დღე აღნიშნა. 31 აგვისტოს აღნიშნა ზედოზირებაზე ცნობიერების ამაღლების დღე. C ჰეპატიტის გავრცელების და ზედოზირების შემთხვევების შესახებ არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა. შესაბამისად, პრობლემა და მასთან დაკავშირებული საფრთხეები სათანადოდ არ არის შეფასებული. სამართლებრივი დევნის შიშის გამო ზედოზირებისას არ ხდება სასწრაფო დახმარებისადმი მიმართვა, რაც ხშირად ლეტალურ შედეგს იწვევს. აღნიშნული პრობლემა გამომდინარეობს ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკიდან. ზიანის შემცირების სფეროში მომუშავე ორგანიზაციები ცდილობენ წვლილი შეიტანონ პრობლემის მოგვარების პროცესში, თუმცა ამის გაკეთება შეუძლებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გარეშე. აუცილებელია დაიხვეწოს კანონდებლობა და ნამალდამოკიდებულთა მკურნალობის, რეაბილიტაციისა და ზიანის შემცირების პროგრამების განხორციელების შესაბამისი საკონომდებლო გარემო შეიქმნას.

ვიმედოვნებთ, რომ საინფორმაციო ბიულეტენი წვლილს შეიტანს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში და ხელს შეუწყობს ყველა დაინტერესებული მხარისთვის მტკიცებულებებზე დამყარებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებას.

თეა კორძაძე

მნიშვნელოვანი ამბები

სიცოცხლის ღირებულება მკურნალობის ფასზე მეტია

28 ივლისს ჰეპატიტის საერთაშორისო დღეა. საქართველოში ეს დღე უკვე მეორე წელია აღინიშნება და C ჰეპატიტის პრობლემის მოგვარებას ემსახურება. შარშან კამპანიის მიზანი საზოგადოების ინფორმირება იყო, წელს კი მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდაა. პოსტსაბჭოთა სივრცეში C ჰეპატიტის გავრცელების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საქართველოშია. ამ ვირუსით დღეს დაახლოებით 200 ათასი ადამიანი ცხოვრობს. მკურნალობა 20 ათას ლარზე მეტი ჯდება, ეს თანხა მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ხელმისაწვდომი არ არის. ჰეპატიტის მატარებლებს მკურნალობისათვის საჭირო ფინანსურ დახმარებას არც სახელმწიფო და არც სადაზღვევო კომპანიები არ უწევენ.



C ჰეპატიტის საერთაშორისო დღე, 28 ივლისი, პოლიდი ინი

28 ივლისს ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის ორგანიზებით და ევროკავშირის, ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოსა“ და „მსოფლიო ექიმები-საფრანგეთის“ მხარდაჭერით, თბილისში, გორში, ზუგდიდსა და ბათუმში ამ დღესთან დაკავშირებით გაიმართა შეხვედრები. თბილისში მოეწყო აქცია მოთხოვნით - „ჩვენ მკურნალობა გვჭირდება დღეს“.

აქციის მონაწილეებმა პარლამენტის წინ ბარიერები დაანყვეს. თითოეული ბარიერი იმ დანახარჯის ზრდას აჩვენებდა, რომელიც მკურნალობისთვის არის საჭირო. სიმბოლური გარბენით აქციის ორგანიზატორებმა ხაზი გაუსვეს ამ პრობლემის დაძლევის აუცილებლობას.



ბარიერები, C ჰეპატიტის საერთაშორისო დღე, 28 ივლისი, რუსთაველის გამზირი

აქციაზე C ჰეპატიტით ინფიცირებულები და მათი ოჯახის წევრებიც შეიკრიბნენ. არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს მკურნალობის საპილოტე გეგმის განაცხადი და გაუგზავნეს საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ჯანდაცვის მინისტრსა და სახალხო დამცველს. „იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება მკურნალობის ფასის მნიშვნელოვანი გაზრდა და მას არ აანაზღაურებს დაზღვევა, უახლოეს პერიოდში ათასობით ჩვენი თანამოქალაქე ციროზით, ლვიძლის კიბოთი და ლვიძლის სხვა დეკომპენსირებული მდგომარეობის შედეგად დაიღუპება“ - ნათქვამია მიმართვაში.

ზედოზირების საერთაშორისო დღე

2001 წელს ავსტრალიაში, შპრიცების გაცვლის პროგრამის მენეჯერი, სალი ფინი, ზედოზირებით დაღუპული ოჯახის წევრების მძიმე განსაცდელმა დააფიქრა. ნამალდამოკიდებულების სტიგმა ოჯახის წევრებს არ აძლევდა საშუალებას თავიანთ ტკივილზე ლიად ესაუბრათ. სწორედ ამიტომ, ფინმა გადაწყვიტა ზედოზირებით დაღუპულებისთვის პატივის მისაგებად ღონისძიება გამართა. 11 წლის შემდეგ, ზედოზირებაზე ცნობიერების ამაღლების დღეს - 31 აგვისტოს მთელი მსოფლიო აღნიშნავს. წელს ამ დღის აღნიშვნას საქართველოც შეუერთდა. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელმა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მრგვალი მაგიდა - „ზედოზირება: სიცოცხლე ან თავისუფლება“ გამართა.



ზედოზირების საერთაშორისო დღე, 31 აგვისტო, ქორთიარდ მარიოტი.

ნარკომომხმარებლები ზედოზირებისას სასწრაფო დახმარებას არ მიმართავენ. ამის მიზეზი კი უმეტეს შემთხვევაში სამართლებრივი დევნის შიშია. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხელისუფლებას მოუწოდეს შეამსუბუქოს მკაცრი პოლიტიკა, რომელიც დღეს ადამიანებს სიცოცხლესა და თავისუფლებას შორის არჩევანის წინაშე აყენებს.

დღის ბოლოს მეტრო „რუსთაველთან“

გაიმართა ფლეშმობი, სადაც ზედოზირების ინსცენირებით გამვლელებს ზედოზირებისას ადამიანის გადასარჩენად პირველადი დახმარების წესები გააცნეს. მსგავსი ფლეშმობები გაიმართა გორში, ზუგდიდში, ფოთსა და ბათუმში.

მთელ მსოფლიოში ზედოზირება ან მის შედეგად გამოწვეული გართულებები ნარკომომხმარებლების დაღუპვის ყველაზე ხშირი მიზეზია. საქართველოში მდგომარეობას ამძიმებს კუსტარული ნარკოტიკების გავრცელების პრაქტიკა.

თვითდახმარების ჯგუფების შეხვედრები

ივლისსა და სექტემბერში თვითდახმარების ჯგუფების შეხვედრებზე მომხმარებლებმა, ყოფილმა მომხმარებლებმა და თანადამოკიდებულებმა მიიღეს ინფორმაცია ნამალდამოკიდებულებისგან თავის დაღწევის გზების, ნარკომომხმარების თანმდევი დაავადებების პრევენციის (შიდსი, ჰეპატიტი), თანადამოკიდებულთა განათლებისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის შესახებ.

მომხმარებლების შეხვედრებზე განიხილეს კანონმდებლობაში მიმდინარე ცვლილებები, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მეთოდები და შიდსის პრევენცია - მკურნალობა, ნარკოტიკების კონტროლის ისტორია და ნარკოსიტუაცია საქართველოში. ყოფილი მომხმარებლების ჯგუფში ნამალდამოკიდებულებასა და თანასწორთა განათლებაზე ისაუბრეს. მონაწილეებმა „თანასწორი-თანასწორს“ ურთიერთობის ფორმა მოიწონეს - „ასეთი შეხვედრა ნაყოფიერია, რადგან არავინ არაფერს გაძალღებს და როგორც თანასწორს ისე გიზიარებს მოსაზრებებს“ - აღნიშნა ერთ-ერთმა მონაწილემ. თანადამოკიდებულთა ჯგუფის შეხვედრა გაიმართა თემაზე - ნარკომანია, როგორც დაავადება და მკურნალობისთვის საჭირო ფსიქოთერაპიული მიდგომები. ქცევის მოდელების უკეთ გასაგებად, ექსპერტმა ფსიქოლოგმა თანადამოკიდებულები როლურ თამაშებში ჩართო. რისთვის არის საჭირო ზიანის შემცირება? რა ეტაპებს მოიცავს და როგორ ხორციელდება ის საქართველოში? როგორ ვისაუბროთ ოჯახში ნამალდამოკიდებულების პრობლემაზე და როგორ დავეხმაროთ ნამალდამოკიდებულს? - ეს საკითხები თანადამოკიდებულებმა საკუთარ მაგალითებზე განიხილეს.



ზიანის შემცირების პრინციპები

ზიანის შემცირების კოალიცია“ ამერიკის შერეულ შტატებში თითქმის ორი ათწლეულია მოღვაწეობს. მათ მიერ ჩამოყალიბებული ზიანის შემცირების პრინციპები შემდეგია: ზიანის შემცირება პრაქტიკული სტრატეგიებისა და იდეების ნაკრებია, რომელიც მიზნად ისახავს ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ნეგატიური შედეგების შემცირებას. ზიანის შემცირება სოციალური სამართლიანობისთვის მოძრაობაა, რომელიც ეფუძნება ნარკოტიკების მოხმარებელი ადამიანების უფლებების რწმენას და მათ პატივისცემას. ზიანის შემცირება მოიცავს სტრატეგიების მთელ სპექტრს, დანყებული უსაფრთხო მოხმარებიდან, მართვადი მოხმარებისა და აბსტინენტურობის ჩათვლით, რათა დაეხმაროს მოხმარებლებს იმ სტადიაზე, რომელშიც იმყოფებიან მოხმარების პირობებისა და თვითმოხმარების პროცესის თვალსაზრისით. ვინაიდან ზიანის შემცირება ითვალისწინებს ინტერვენციებს და მიდგომებს, რომელიც ეხმარება მოხმარებელს კონკრეტული ინდივიდუალური და თემის საჭიროების მიხედვით. ზიანის შემცირების უნივერსალური დეფინიცია ან მისი განხორციელების ფორმულა არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ზიანის შემცირების

კოალიცია ზიანის შემცირების შემდეგი პრინციპებით ხელმძღვანელობს:

- ზიანის შემცირების კოალიცია აღიარებს ფაქტს რომ, კარგია ეს თუ ცუდი, ლეგალური და არალეგალური ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება ჩვენი

• ზიანის შემცირება პრაქტიკული სტრატეგიებისა და იდეების ნაკრებია, რომელიც მიზნად ისახავს ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ნეგატიური შედეგების შემცირებას. ზიანის შემცირება სოციალური სამართლიანობისთვის მოძრაობაა, რომელიც ეფუძნება ნარკოტიკების მოხმარებელი ადამიანების უფლებების რწმენას და მათ პატივისცემას.

ყოფის ნაწილია და მის იგნორირებასა და დაგმობას, უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას ამჯობინებს.

- ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება რთული და მრავალმხრივი ფენომენია, რომელიც მოიცავს ქცევითა ცვალებადობას: ბოროტად მოხმარებიდან აბსოლუტურ თავშეკავებამდე და აღიარებს, რომ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ზოგიერთი გზა უფრო უსაფრთხოა, ვიდრე სხვები.
- განსაზღვრავს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კეთილდღეობის ხარისხს (რაც შეიძლება არ ითვალისწინებდეს ყველა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შეწყვეტას), როგორც ნარმატიკული ინტერვენციისა და პოლიტიკის კრიტერიუმს.
- მოუწოდებს მომსახურებისა და რესურსების მინოდებისა კენ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებლებისათვის და იმ სოციუმისთვის, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, მათი განსჯისა და იძულების გარეშე, რათა ზიანის შემცირებაში დაეხმაროს.
- უზრუნველყოფს ნარკოტიკების მოხმარებლებისა და ყოფილ მოხმარებლების ჩართულობას იმ პროგრამების და

პოლიტიკის შემუშავებაში, რომელიც მათ დასახმარებლად არის გამიზნული.

- მოხმარებლებს მიიჩნევს ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებით გამოწვეული ზიანის შემცირების ძირითად მოქმედ პირებად და ხელს უწყობს მათ, გაუზიარონ ერთმანეთს ინფორმაცია და გაუზიარონ დახმარება მოხმარების პირობებთან დაკავშირებით.
- აღიარებს, რომ სიღარიბე, კლასობრივი სეგრეგაცია, რასიზმი, სოციალური იზოლაცია, წარსულში გადატანილი ტრავმა, სქესობრივი დისკრიმინაცია და სხვა სოციალური უთანასწორობა ზეგავლენას ახდენს როგორც ადამიანების მოწყვლადობაზე, ისე მათ უნარზე ეფექტურად გაუმკლავდნენ მოხმარებასთან დაკავშირებულ ზიანს.
- არ ცდილობს არალეგალური და ლეგალური ნარკოტიკული საშუალებებით გამოწვეული ზიანის იგნორირებას ან მინიმალიზაციას.

ზემოთ მოცემული მასალა ნათარგმნია „ზიანის შემცირების კოალიციის“ ვებგვერდიდან

<http://harmreduction.org/about-us/principles-of-harm-reduction/>

ჯანდაცვა ■ ზედოზირება

ზედოზირება, იგივე ინტოქსიკაცია ხდება მაშინ, როდესაც ადამიანი იმაზე მეტ ერთი სახის ან კომბინირებულ ნარკოტიკს მოიხმარს, ვიდრე მის ორგანიზმს შეუძლია გაუმკლავდეს. სხვადასხვა ნარკოტიკულ საშუალებას, ზედოზირების სხვადასხვა მახასიათებელი აქვს. ზედოზირების საშიშროება იქმნება მაშინაც, როდესაც ადამიანი გარკვეული პერიოდი არ მოიხმარს ნარკოტიკს და მასთან დაბრუნების შემდეგ ჩვეულ დოზას მიიღებს. ორგანიზმის ამტანობა გარკვეული დოზების მიმართ მალე მცირდება, ამიტომ ძველი დოზით ნარკოტიკებთან დაბრუნება შეიძლება ფატალურად დასრულდეს. ოპიოიდები, ბენზოდიამეტიკები და ალკოჰოლი დეპრესანტებია. ისინი ანელებენ ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირებას, გულის ცემას და სუნთქვას, რამაც შეიძლება ადამიანის სიკვდილი გამოიწვიოს. დეპრესანტების ზედოზირების ნიშნებია: გაიშვიათებული სუნთქვა (ან სუნთქვის საერთოდ შეწყვეტა), ხროტინი, დალურჯებული ტუჩები, დეზორიენტაცია და გონების დაკარგვა. ამ ფეტამინებით ზედოზირებას ახასიათებს: მკერდის ტკივილი, ძლიერი თავის ტკივილი, მაღალი ტემპერატურა, გაძნელებული სუნთქვა, ჰალუცინაციები და გონების დაკარგვა. ხშირად ზედოზირების მიზეზი სხვადასხვა ტიპის ნივთიერებების (მაგალითად ალკოჰოლი და ჰერო-

ინი) შერევა ხდება. ნარკოტიკული და ფსიქოაქტიური საშუალებების ურთიერთქმედებამ შესაძლოა ძლიერი ზემოქმედება მოახდინოს ორგანიზმზე და მან დატვირთვას ვერ გაუძლოს. ეს კი ზედოზირების რისკს ზრდის. დოზის გადაჭარბების შემთხვევაში ადამიანი დაანვინეთ გვერდულად, გაუთავისუფლეთ პირი და დარეკეთ სასწრაფო დახმარების სამსახურში. თუ ზედოზირება სტიმულატორების (მაგ. „ვინტი“, „ჯეფი“) ზემოქმედებისას განვითარდა, სჯობს დაზარალებული სადმე გრილ და ნყნარ ადგილას გადაიყვანოთ. ოპიოიდებით ზედოზირების დროს, სასუნთქი გზების განმწმენის, ხელოვნური სუნთქვისა და გულ-ფიტვის არაპირდაპირი მასაჟის გაკეთების შემდეგ პაციენტს ვენაში ან კუნთში უნდა გაუკეთდეს ნალოქსონის ინექცია. მისი მოქმედება მაქსიმუმ საათნახევარს გრძელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ხანგრძლივი

მოქმედების ნარკოტიკის (მეთადონი, ჰეროინი, მორფინი) შემთხვევაში ზედოზირება შეიძლება განმეორდეს. ნალოქსონი ოპიოიდების სანაღმდეგოდ მოქმედებს. ის აჩერებს სუნთქვის ცენტრის დათრგუნვას ინექციიდან 2 წუთის განმავლობაში თუ დაზარალებული არ „გამოფხიზლდა“, შეიძლება განმეორებითი ინექცია გახდეს საჭირო.



ზედოზირების ინსცენირება, 31 აგვისტო, თბილისი



კრატეტიკული რჩევები ■ ჩემი ისტორია ■

ინფორმაცია C ჰეპატიტით ინფიცირებული პირებისთვის

- თანამედროვე მედიცინის მიღწევების წყალობით, ჰეპატიტი ექვემდებარება მედიკამენტოზურ მკურნალობას, თუმცა, განკურნებულთა რიგში მოხვედრას დიდი ძალისხმევა სჭირდება, როგორც ექიმის, ასევე პაციენტის მხრიდან.

- ექიმის კონსულტაციის გარეშე ნუ მიმართავთ მკურნალობის სხვა მეთოდებს.

- საჭიროა ოჯახის წევრების და ახლობელი ადამიანების სრულად ინფორმირება არსებული დაავადების შესახებ.

- არასდროს გამოიყენოთ სხვასთან საზიარო პირსაპარსი მონყობილობა, კბილის ჯაგრისი და ნებისმიერი საგანი, რომელიც შეიძლება იყოს დაბინძურებული სისხლით.

- სქესობრივი კავშირის შემთხვევაში, ყოველთვის ისარგებლეთ პრეზერვატივით.

- თქვენი დაავადების შესახებ გააფრთხილეთ ექიმები, რომელთაც შეიძლება საქმე იქონიონ თქვენს სისხლთან ან სხვა სითხეებთან (სტომატოლოგები, გინეკოლოგები).

- გააფრთხილეთ საპარაკმახეროს ან იმ დაწესებულებების მუშაკები, სადაც კეთდება მანიკური, პედიკური, პირსინგი და ტატუ.

- უარი თქვით ალკოჰოლზე.

- არ გამოიყენოთ საინექციო ნარკოტიკები. თუკი არ შეგიძლიათ მათზე უარის თქმა და დამოკიდებულების მდგომარეობიდან გამოსვლა, არ გამოიყენოთ სხვასთან ერთად საზიარო ნემსები, შპრიცები, ფილტრები, კოვზი, ხსნარები და სხვ.

- ეცადეთ დაიცვათ დიეტა და შეამცირეთ ცხიმოვანი საკვების მიღება.

- აღნიშნულის მიუხედავად, თქვენ შეგიძლიათ გააგრძელოთ აქტიური ცხოვრება.

დავიბადე ვერაზე, ტრადიციულ ქართულ ოჯახში, რომელიც გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ცნობილი და მისაბადი იყო იმდროინდელ თბილისში. სკოლა ფრიადებზე დავამთავრე და ჩავაბარე უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. პირველი უიღბლო ქორწინების შემდეგ, მეორედ გავთხოვდი და პრობლემებიც დაიწყო. მეუღლემ, თავად ნარკომომხმარებელმა ჩამითრია და მიმაჩვია წამლის კეთებას. დაიწყო ტაბლეტებით, გაგრძელდა ოპიუმით და დამთავრდა ინტრვენური მოხმარებით. ამას მოჰყვა ურთულესი გზა, რომელიც გავიარე. განვლილი ცხოვრების ნახევარზე მეტი, კინოფილმიდან ამოჭრილი ცალკეული ფრაგმენტებით არის ჩემს გონებაში დალექილი. მშობლების და ნათესავების ჩარევით, ეს ქორწინებაც კრახით დასრულდა, მაგრამ ჩემს წამალდამოკიდებულებას აღარაფერი ეშველა, მიუხედავად მრავალმხრივი ძალისხმევისა. თავი სრულ იზოლაციაში მოვიქციე - ყველას ვემალებოდი და გავურბოდი. დეპრესია, უიმედობა, საშინელი ფიზიკური და სულიერი ტკივილი, გაუთავებელი საავადმყოფოები - ეს ის მწირი ჩამონათვალია, რაც ჩემი ცხოვრების თანამგზავრი გახდა, დავისახიჩრე ცხოვრებაც და ჯანმრთელობაც. ბოლოს, პირველი ჯგუფის ინვალიდი გავხდი. რასაკვირველია, დაიწყო გაუთავებელი პრობლემები სამართალდამცავ ორგანოებთან, რაც საბოლოო ჯამში 25 წლიანი პატიმრობის მისჯით დასრულდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში წამალდამოკიდებული ქალისადმი საზოგადოების დამოკიდებულება განსაკუთრებით შეურაცხველი და მე ვიტყვოდი სასტიკიცაა, ჩემთვის მიმე დროს გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც დახმარების ხელი გამომიწოდეს. ამ დახმარებამ გამოიწვია ჩემი საზოგადოებისთვის მისაღებ ადამიანად გარდაქმნა და არა პატიმრობამ და ძალოვანების მიერ

შევიწროვებამ, რომელსაც მუდმივად განვიცდიდი 25 წლიანი წამალდამოკიდებულების მანძილზე. ციხეში ყოფნისას ძველ გატაცებას, ხატვას დავუბრუნდი. შემოქმედებითა პროცესმა დიდი სიამოვნება და სიმშვიდე მომიტანა. შევამჩნიე, რომ ჩემი ნამუშევრები სხვებსაც მოსწონდათ. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემი ავადმყოფობის - წამალდამოკიდებულების მკურნალობისთვის, შრომა და არტ-თერაპია ბევრად უფრო სასარგებლოა, ვიდრე იზოლაცია და რეპრესიები.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ, მუშაობა დავიწყე არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალ ვექტორში“, სადაც ამ მიმართულებით საქმიანობის შესაძლებლობა მომეცა. მივხვდი, რომ ჩემს ნეგატიურ გამოცდილებას პოზიტიური ღირებულებაც შეიძლება ჰქონოდა. წლების მანძილზე, წამალდამოკიდებულობის ყველა ეტაპი და სირთულე გავიარე, მაგრამ ღვთის შენეებით და ჩემი მეზობელი ხასიათის დამსახურებით, გადავჩინე. გადავწყვიტე, ჩემი გამოცდილება სასარგებლო იქნებოდა მსგავსი პრობლემების მქონე ადამიანებისთვის და განსაკუთრებით წამალდამოკიდებული ქალებისათვის. ისინი ჩვენს ქვეყანაში ორმაგად სტიგმატიზებულნი არიან - ერთი მხრივ კანონის, მეორე მხრივ - საზოგადოების სასტიკი დამოკიდებულების გამო.

დღეს ჩემს თავს წარმატებულ ქალად მივიჩნევ. მრავალწლიანი წამალდამოკიდებულების მქონე საზოგადოებისგან გარიყულმა ადამიანმა მოვახერხე სირთულეების გადალახვა, მყავს ოჯახი, საყვარელი შვილი, მეგობრები. ჩემი ოცნებაა მქონდეს პატარა სახელოსნო, სადაც ბევრი სინათლე იქნება, ხოლო ჩემი აქტიური სამოქალაქო პოზიციით, წამალდამოკიდებულთა უფლებების დაცვას და მათ საზოგადოებაში სრულფასოვან დაბრუნებას შევუწყო ხელი.

ავადმყოფობის - წამალდამოკიდებულების მკურნალობისთვის, შრომა და არტ-თერაპია ბევრად უფრო სასარგებლოა, ვიდრე იზოლაცია და რეპრესიები.

ჩემი ოცნებაა მქონდეს პატარა სახელოსნო, სადაც ბევრი სინათლე იქნება, ხოლო ჩემი აქტიური სამოქალაქო პოზიციით, წამალდამოკიდებულთა უფლებების დაცვას და მათ საზოგადოებაში სრულფასოვან დაბრუნებას შევუწყო ხელი.

ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო მოხმარებით გამოწვეული ზიანის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით მოქმედებს ბლოგი

druginfo.ge



ინტერვიუ

ნარკოსიტუაცია რეგიონების მიხედვით

ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში აივ/შიდსის პრევენციის პროგრამა (რომელსაც საზოგადოება იცნობს შპრიცების გაცვლის პროგრამის სახელით) 2001 წლიდან მოქმედებს საქართველოში, თუმცა, არა ისეთი მასშტაბებით, როგორც დღესაა. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი აივ ინფექციის პრევენციის პროგრამებს წვერი ორგანიზაციების საშუალებით ახორციელებს – ფსიქო-სოციალური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრი „ახალი გზა“ (თბილისი, ქუთაისი, სამტრედია), კავშირი „ახალი ვექტორი“ (თბილისი), ახალგაზრდა ფსიქოლოგთა და ექიმთა ასოციაცია „ქსენონი“ (ზუგდიდი), კავშირი ნაბიჯი მომავლისკენ (გორი, თელავი), კავშირი „იმედი“ (ბათუმი), ასოციაცია „ორდუ“ (ფოთი), აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა კავშირი „თანადგომა“ (სოხუმი).

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის პროექტის „ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლების მოცვის გაფართოება აივ/შიდსზე პრევენციული ღონისძიებების გაძლიერების გზით“ ხელმძღვანელი, მაკა გოგია, რეგიონებში არსებულ ნარკოსიტუაციაზე გვესაუბრა.

როგორია ნარკოსიტუაცია რეგიონებში?

რამდენადაც ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკა თანაბრად ვრცელდება ქვეყნის ყველა რეგიონზე, ნარკოსიტუაცია სხვადასხვა რეგიონში მეტნაკლებად ერთნაირია. წინა წლებთან შედარებით მეტად შეზღუდულია ხელმისაწვდომობა ე.წ. იმპორტირებულ ნარკოტიკულ საშუალებებზე (ჰეროინი, სუბუტექსი, მეთადონი, სირეცი, ოპიუმი) და მოხმარების მხრივ ლიდერობს კუსტარული ნარკოტიკული საშუალებები, მათ შორის პირველ ადგილზეა „ნიანგი“, ასევე აქტიურად მოიხმარენ „ვინტს“ და შედარებით ნაკლებად „ჯეფს“.

სხვა რეგიონებთან შედარებით, ოდნავ განსხვავებული სურათია აჭარასა და ფოთში, რაც დაკავშირებულია მეზობელი თურქეთის ტერიტორიაზე ნარკოტიკულ საშუალებებზე მეტ ხელმისაწვდომობასთან. მომხმარებლების გარკვეული ნაწილი თურქეთში პერიოდულად მუშაობს და იქვე მოიხმარს ნარკოტიკს. თურქეთში სტერილურ საინექციო ინსტრუმენტებზე ხელმისაწვდომობა დაბალია, რამდენადაც აფთია-

ქებში შპრიცები მხოლოდ ექიმის მიერ გამოწერილ საინექციო ნამლებთან ერთად გაიცემა, შესაბამისად, მომხმარებლებს უწევთ მათი გაზიარება, რაც მათ ჯანმრთელობას დამატებით საფრთხეს უქმნის.

როგორია ნარკომომხმარებლების სტატისტიკური მონაცემები რეგიონებში?

მთელ ქვეყანაში შპრიცების გაცვლის 10 ცენტრია, სულ 9 ქალაქში. ეს პროგრამა ყველა რეგიონს ვერ ფარავს, შესაბამისად, არ ვიცით რა სიტუაციაა სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, გურიაში, რაჭაში, სვანეთში და სხვა მაღალმთიან რეგიონებში.

პროგრამა ყოველთვიურად დაახლოებით 3 500 – 4 000 ვიზიტორს ემსახურება. გარდა სტერილური საინექციო აღჭურვილობისა, ბენეფიციარებს უტარდებათ გამოკვლევები აივ ინფექციაზე, B და C ჰეპატიტებსა და სიფილისზე, მიეწოდებათ საინფორმაციო –საგანმანათლებლო მასალები ნარკოტიკებით გამოწვეული ზიანის შემცირების შესახებ, ურიგდებათ ნალოქსონი ოპიოიდებით გამოწვეული ზედოზირებისას გამოყენების მიზნით. ყველა მომსახურება უფასო და ანონიმურია.

ბენეფიციარების გარკვეული რაოდენობა ამ პროგრამებით სარგებლობას წყვეტს სხვადასხვა მიზეზით – მაღალია საზღვარგარეთ ემიგრირების მაჩვენებელი, ნაწილი ნარკოდანაშაულის გამო ციხეში ხვდება, ზოგი უბრალოდ იმალება არსებული კანონმდებლობის შიშით, თუმცა, პროგრამას ყოველთვიურად ემატებიან ახალი ბენეფიციარებიც.

პროგრამის, „ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლების მოცვის გაფართოება აივ/შიდსზე პრევენციული ღონისძიებების გაძლიერების გზით“ 2012 წლის მონაცემებით პირველადი სტატისტიკა ასეთია: თბილისის ორ ცენტრში ერთი თვის განმავლობაში საშუალოდ 800 მომხმარებელი მიდის; გორში – 400-მდე ბენეფიციარი; ბათუმსა და ზუგდიდში ეს რიცხვი 300-სა და 350-ს შორის მერყეობს; სამტრედიაში 200 მომხმარებელი მიდის; ქუთაისში – 250-მდე, ხოლო თელავსა და სოხუმში – 300-დან 350-მდე მომხმარებელი.

მაკაცი სახელმწიფო პოლიტიკის და სტიგმის გამო ნარკომომხმარებლები ერიდებიან საზოგადოებაში გამოჩენას, როგორია მათი ნდობა ცენტრების მიმართ?

იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ყველა სერვისი არის ანონიმური, მათი ნდობა მაღალია. ვინც ნდობის განმავლობაში სარგებლობს ამ მომსახურებით, მათ მოჰყავთ ნაცნობები და ბენეფიციარების რაოდენობაც მუდმივად იზრდება, თუმცა, ზოგადად მომხმარებლებში შიშის ფაქტორი მაინც მნიშვნელოვანია. შესაძლოა, იცოდნენ კიდევ ამ პროგრამის შესახებ, მაგრამ მაინც ვერ ბედავდნენ მოსვლას პოლიციის შიშით. არის შემთხვევები, როდესაც ვიცით, რომ არსებობს ნარკოტიკების მომხმარებელთა ჯგუფი, რომელიც ჯგუფურად მოიხმარს ნარკოტიკს, თუმცა, ვერ ვახერხებთ მათ მოცვას. ამ შემთხვევებში საჭიროა მათთვის ძალიან სანდო ადამიანის პოვნა, ვინც დაარწმუნებს, რომ ჩვენ არ ვართ პოლიციასთან დაკავშირებული ორგანიზაცია, რომ ჩვენ შეგვიძლია დავებმართოთ მათ დაავადებების და ნარკოტიკების ინტრავენურ მოხმარებასთან დაკავშირებული ზიანის თავიდან აცილებაში.

პროექტის, „ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლების მოცვის გაფართოება აივ/შიდსზე პრევენციული ღონისძიებების გაძლიერების გზით“ ფარგლებში მოქმედებს ე.წ. „თანასწორ განმანათლებელთა“ პროგრამა, რომელიც გულისხმობს მცირე ფულადი ინსტიტუტების მიცემას მომხმარებლებისთვის, რომლებიც მიღებულ ინფორმაციას სხვა ნარკომომხმარებლებს გადასცემენ. იმის დასამტკიცებლად, რომ ინფორმაცია გაავრცელა, ბენეფიციარს მისი „მოსწავლე“ მოჰყავს და მათ შესამომწებელი ტესტი უტარდებათ. შესაბამისად, ბენეფიციარი დაინტერესებულია, მიიღოს საჭირო ცოდნა და გაუზიაროს მეგობრებს. მომხმარებლები იღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა არის აივ ინფექცია, რა არის ფანჯრის პერიოდი (დრო აივ ინფექციის ვირუსით ინფიცირების მომენტიდან 2-3 თვემდე, როდესაც სისხლში ვირუსის სანინაალმდეგო ანტისხეულები ანალიზით ვერ დგინდება), როგორ ხდება სისხლის გზით გადამდები ინფექციების (მათ შორის B და C ჰეპატიტისგან) დაცვა, რა არის ზედოზირება და როგორ შეიძლება მისგან დაცვა. ეს არის მიზანმიმართული განათლება უსაფრთხო ინექციის ხელშეწყობისათვის. პროგრამა საკმაოდ ეფექტურია, რაც დამტკიცებულია სხვადასხვა კვლევებით. იგი ნარმატებით ხორციელდება იმ ქვეყნებში, სადაც აივ ინფექციის გადაცემის ძირითადი გზა სწორედ ინტრავენური ნამალ-დამოკიდებულებაა.



გიულეტანის გამოცემა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი
GEORGIAN HARM REDUCTION NETWORK
გიულეტანის გამოცემა ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

ეს დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ამ დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი“ და არც ერთ ვითარებაში არ შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის პოზიციის გამოხატულებად.

This document has been produced with the financial assistance of the European Union. The contents of this document are the sole responsibility of the Georgian Harm Reduction Network and can under no circumstances be regarded as reflecting the position of the European Union

რედაქტორი: თეა კორძაძე
სტილი: ნინო ბექაშვილი
დიზაინი: Printlock

ნომერზე მუშაობდნენ: ლაშა ზალიშვილი, თეა კორძაძე, ანიტა თვაური, პაატა საბელაშვილი, თამარ ჩერქეზიშვილი

გამომცემელი: „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი“

საქართველო, თბილისი, 0171 პეკინის გამზ. 2,
მე-2 სადარბაზო. მე-4 სართული, ბ. 19
ტელ: ოფისი: +995 221 32 11 (ფაქსი) +995 247 87 94
ელ-ფოსტა: info@hrn.ge, ვებ-გვერდი: www.hrn.ge

დაბეჭდილია: შ.პ.ს. „სეზანი“
საქართველო, თბილისი, 0119 ნერეთლის გამზ. 140,
ტელ.: +995 32 235 70 02, ფაქსი: +995 32 235 70 04

ბიულეტენში გამოქვეყნებულ მასალაზე საავტორო უფლებას ფლობს ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

ბიულეტენში გამოქვეყნებული მასალის გამოყენებისას აუცილებელია წყაროს მითითება

